



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„---01----“ ---11--- 2016 წელი

ეგზ. N1

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2014
წლის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N64/36

სარჩევი

სარჩევი	2
შემაჯამებელი მიმოხილვა.....	3
შესავალი.....	4
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობა.....	5
აუდიტის მასშტაბი	5
აუდიტის შედეგები.....	6
ფულადი სახსრების ასახვა.....	6
ძირითადი აქტივების არასრული და არასწორი ასახვა.....	6
დებიტორული და კრედიტორული დავალიანება	9
შესყიდვები	11
ტრანსპორტი.....	11
შრომის ანაზღაურება	12
საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დარღვევა	13
<i>სპორტული ფედერაციების მიერ მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენა</i>	13
<i>საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დარღვევა</i>	13
გაწეული ხარჯის გამოყოფილი ასიგნებების პროგრამული კოდთან შეუსაბამობა	14

შემაჯამებელი მიმოხილვა

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ არ სრულდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის მოთხოვნა - „ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები“;
- სამინისტროს მიერ დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს იმ სახელმწიფო ორგანომ, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება;
- სამინისტროს ბალანსი არასრულად ასახავს გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს (ძირითად აქტივებს), რადგან ბალანსში 2014 წლის 1 იანვრისთვის და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის ასახული, შესაბამისად 5,801,937 ლარის და 3,274,463 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები;
- 2014 წლის 1 იანვრისთვის 5,801,937 ლარის ბალანსგარეშე ნაშთში არასწორად ირიცხებოდა 2,171,224 ლარის უძრავი ქონება, ხოლო 2014 წლის 31 დეკემბრისთვის 3,274,463 ლარის ბალანსგარეშე ნაშთში - 1,286,859 ლარის უძრავი ქონება, რომლებიც წინა წლებში დარეგისტრირებული აქვთ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს და სხვა ორგანიზაციებს;
- 2014 წლის 31 დეკემბრისთვის რიცხული 2,182,942 ლარის დებიტორული დავალიანების მიმართ არ არის გატარებული საკმარისი ღონისძიებები. სამინისტროს მიერ არ სრულდება თავისივე 2011 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით დადგენილი „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად მასალები უნდა გადაცემოდა სამართალდამცავ ორგანოებს;
- მაღალია გამარტივებული შესყიდვების ხვედრითი წილი სახელმწიფო შესყიდვების მთლიან მოცულობაში. ამასთან, არამართლზომიერია 2012 წლის მთავრობის განკარგულებებით „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების“ მოტივით 2014 წელს ორ შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის განხორციელება;
- „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვალის N121 დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით დეპარტამენტის უფროსის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირებისათვის 3 შემთხვევაში უფრო მაღალი კლასის მანქანებია განპიროვნებული, ვიდრე გათვალისწინებული იყო;
- 2014 წელს სამინისტროში შტატით - გეგმით განსაზღვრული რიცხოვნობა შეადგენდა 91, ხოლო ფაქტობრივად საშუალოდ მუშაობდა 81 მოსამსახურე, ე.ი. 10 ერთეულის ვაკანსია მუდმივად არსებობდა. ასეთ პირობებში, ბიუჯეტის დაგეგმვისას 10 ერთეულით ზედმეტი შტატის და მისი შესაბამისი ზედმეტი შრომის ანაზღაურების გათვალისწინება ბიუჯეტში და ასიგნებების გამოყენება პრემიებად არამართლზომიერია;
- რიგი სპორტული ფედერაციების მიერ რიგ შემთხვევებში არ სრულდება „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი

თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“-ს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, „ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები“. ასევე, გათვალისწინებულ არ არის ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად „სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დაქირავებულის ბრძანებით დაქირავებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მგზავრობის ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე“. კერძოდ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებების შემდგომ არ არის წარმოდგენილი მგზავრობის დამადასტურებელი „ჩასხდომის ბარათები“, რომელიც ინვოისით მგზავრობისთვის გადახდილი თანხის დოკუმენტთან (რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ჩასხდომის ბარათში აღნიშნულ მარშრუტებს) ერთად წარმოადგენს მგზავრობის ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს;

- რიგი სპორტული ფედერაციების მიერ რიგ შემთხვევებში არ სრულდება “საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“-ს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც “ფედერაციებმა ამ წესის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი თანხით (მათ შორის ფიზიკური პირებისთვის) ანგარიშსწორება უნდა განახორციელონ მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით“. ასევე საგულისხმოა, რომ ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებული აღნიშნული შემთხვევებიდან, არც ერთში არ არის დაცული “საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“-ს მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ობიექტური მიზეზების გამო უნაღდო ანგარიშსწორების გზით ანაზღაურების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაღდი ანგარიშსწორება შესაძლებელი იქნება განხორციელდეს გამონაკლისის წესით, რის შესახებაც შესაბამისი დასაბუთება ფედერაციის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს წინასწარ დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე წერილში ან ანგარიშის წარდგენის დროს“;
- 3,400 ლარის ხარჯი არ შეესაბამება გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის პროგრამულ კოდს, კერძოდ, „სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის“ (კოდი 39 02 07) ასიგნებიდან შესყიდულია ინვენტარიზაციის პროგრამული პაკეტი.

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. სამინისტროს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე. პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული კანონშეუსაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სამინისტროს 2014 წლის საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტის სტანდარტებთან შესაბამისობა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების უკეთ გაგებასა და სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. აუდიტის ობიექტის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აუდიტის ანგარიშში ახსნილი უარყოფითი გავლენები, შესაძლოა სრულად ვერ ასახავდეს ყველა იმ უარყოფით შედეგს, რომელიც შეიძლება არსებობდეს. ამიტომ აღვნიშნავთ, რომ აუდიტორი არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ შესაძლო უარყოფითი შედეგების ანგარიშში ასახვაზე, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მის მიერ ანგარიშში დაფიქსირებული აღმოჩენილი ნაკლოვანებებიდან.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებას, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

აუდიტის შედეგები

ფულადი სახსრების ასახვა

სამინისტროს მიერ არ სრულდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის მოთხოვნა - „ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები“, რომლის თანახმად ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია – კვარტალში ერთხელ მაინც. შედეგად სამინისტროს ბალანსი არასწორად ასახავს ფულად სახსრების ანგარიშს. კერძოდ, ფინანსური ანგარიშების ფორმა N1-ში ბალანსში „სხვა ანგარიშები ხაზინაში“ ანგარიშზე ნაშთი 2014 წლის ბოლოსთვის ასახულია 62,643 ლარი, რაც შეესაბამებოდა 2014 წლის ხაზინის ამონაწერს, მაგრამ სპორტული ფედერაციების მიერ 2014 წელს მიღებული გრანტებიდან აუთვისებული თანხები - ჯამში 3586 ლარის ოდენობით, დაბრუნებულია 2015 წელს გრანტის ანგარიშზე. სახაზინო სამსახურის მიერ დაბრუნებული თანხა ასახულია 2014 წლის ბოლოს არსებულ ნაშთში, რის გამოც ხაზინის 2015 წლის ამონაწერში, 2015 წლის დასაწყისში, ე.ი. 2014 წლის ბოლოს არსებული ნაშთი შეადგენდა 66,229 ლარს, ანუ ბალანსში დაფიქსირებულზე - 3,586 ლარით მეტს. აღნიშულთან დაკავშირებით წარმოდგენილია სამინისტროს განმარტება¹.

ძირითადი აქტივების არასრული და არასწორი ასახვა

სამინისტროს მიერ დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრირდეს იმ სახელმწიფო ორგანომ, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება.

სამინისტროს შექმნამდე (2010 წლის პირველ ივლისამდე), არაფინანსური აქტივები ირიცხებოდა ყოფილი „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ბალანსზე, ხოლო „სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს“ შექმნის შემდეგ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2010 წლის პირველი ნოემბრის N15/2053/3-10 წერილის თანახმად, აღნიშნული ქონების გადაცემის მიზნით სამინისტროს უნდა

¹ სამინისტროს განმარტება: 2014 წლის ბოლოს გრანტის ნაშთი შეადგენდა 62643 ლარს (იხ. ამონაწერი 2014წ.), შესაბამისად 2014 წლის ბოლოს და 2015 წლის დასაწყისში ფინანსური ანგარიშების დანართი N1-ში ფულადი სახსრების ნაშთი ასახულია ამ თანხით. სპორტული ფედერაციების ნაწილმა 2014 წელს მიღებული გრანტებიდან აუთვისებული თანხები - ჯამში 3586 ლარის ოდენობით, მოაბრუნა 2015 წელს. სახაზინო სამსახურის მიერ, 2015 წელს მობრუნებული თანხა ავტომატურად აისახა წლის დასაწყისში არსებულ ნაშთში, რის გამოც, 2015 წლის ამონაწერში (თან ერთვის) , 2014 წლის ბოლოს არსებული ნაშთის 62643 ლარის ნაცვლად დაფიქსირებულია 66229 ლარი (3586 ლარით მეტი);

უზრუნველყო აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკების წარდგენა, რაც სამინისტროს არ განუხორციელებია. ამასთან, ვინაიდან 2010 წლის 29 ივნისს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და შეიქმნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რომელიც ჩაითვალია აღნიშნული დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, სამინისტროს აღნიშნული ქონება უნდა აღერიცხა ბალანსზე ძირითად საშუალებებად (სამინისტროს აღრიცხული აქვს საცნობარო მუხლში - ბალანსგარეშე ანგარიშებზე), შედეგად:

სამინისტროს მიერ არ არის აღმოფხვრილი „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2013 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში“ ასახული შეუსაბამოებები. კერძოდ, სამინისტროს ბალანსი არასრულად ასახავს გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს (ძირითად აქტივებს), რადგან ბალანსში 2014 წლის 1 იანვრისთვის და 2014 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის ასახული შესაბამისად 5,801,937 ლარის და 3,274,463 ლარის ღირებულების არაფინანსურ აქტივები, რომლებიც ასახულია საცნობარო მუხლში ბალანსგარეშე ანგარიშებზე „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ (აღნიშნული ქონება სამინისტროსთვის პასუხსაგებ შენახვაზე არავის მიუბარებია).

ამასთან, 2014 წლის 1 იანვრისთვის 5,801,937 ლარის ბალანსგარეშე ნაშთში არასწორად ირიცხებოდა 2,171,224 ლარის ქონება, მათ შორის:

დასახელება	თანხა	შენიშვნა
ხელოვნურსაფარიანი მოედანი ბაკურიანში და ბაზალეთში	95,010	2009 წლიდან დარეგისტრირებული აქვთ თავის საკუთრებაში შესაბამისად ბორჯომის მუნიციპალიტეტს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. სამინისტრომ 2014 წელს მოახდინა ამ ქონებების ჩამოწერა;
ბაკურიანის ბანაკი	72,360	2007 წელს იყო დემონტირებული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავჯდომარის 2007 წლის 23 მაისის N34 ბრძანების საფუძველზე. ბუღალტრული ასახვა განხორციელდა 2015 წელს
სქურის 3 კოტეჯი	37,439	2011 წელს იქნა დემონტირებული და გადატანილი ანაკლიაში ერთი დიდი კოტეჯის მშენებლობისათვის, ოპერაციის ბუღალტრული ასახვა განხორციელდა 2015 წელს
განმუხურის პატრიოტული ბანაკი და 18 კოტეჯი	925,299	სამინისტროს მიერ 2013 წლის ინვენტარიზაციით ვერ იქნა გამოვლენილი და მისი გამოვლენა მოხდა წინა 2013 წლის აუდიტის მიმდინარეობისას, სამინისტროს მიერ 2014 წელს მოახდინა მათი ჩამოწერა გარესბალანსო ანგარიშიდან და გადაიტანა დანაკლისებში ისე რომ 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების და 2014 წლის ფინ. ანგარიშგებაში საწყისი ნაშთების დაზუსტება არ მოუხდენია;
წეროვანის სპორტული მოედანი	66,310	2010 წლიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია;
მესტიის სპორტული მოედანი	56,643	2010 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია;
18 ხელოვნურსაფარიანი მოედანი (რომლებიც მდებარეობენ: რუსთავეს საში, ქუთაისში ორი, ხობში, ასპინძაში, ლაგოდეხში, საგარეჯოში, ვანში, სამტრედიისში, ჩხოროწყუში, მარნეულში, ჩოხატაურში, ამბროლაურში, წალკაში, კასპში, შოვეში, ზუგდიდში)	758,003	2014 წელამდე წინა წლებში დარეგისტრირებული აქვთ საკუთრებაში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ან სხვა ორგანიზაციებს;

7 ფეხბურთის მოედანი (რომლებიც მდებარეობენ: რუსთავში, მცხეთაში, დუშეთში ორი, ახალციხეში, ჩოხატაურში, ზუგდიდში)	160,160	2014 წელს ან წინა წლებში დარეგისტრირებული აქვთ საკუთრებაში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ან სხვა ორგანიზაციებს.
ჯამი	2,171,224	

2014 წლის განმავლობაში 5,801,937 ლარის ბალანსგარეშე ნაშთიდან გასულად აღრიცხულია 2,527,475 ლარის ქონება, მათ შორის ზემოთ აღნიშნული 925,299 ლარის ღირებულების დანაკლისები და 95,010 ლარის ღირებულების 2 ხელოვნურსაფარიანი მოედანი, აგრეთვე 1,207,653 ლარის ღირებულების შაორის ბანაკი და შაორში მდებარე 20 კოტეჯი, რომელიც გადაეცა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრს“, რომელიც უშუალოდ ახორციელებს პროგრამა "მომავლის ბანაკს".

2014 წლის 31 დეკემბრისთვის 3,274,463 ლარის ბალანსგარეშე ნაშთში კვლავ არასწორად ირიცხებოდა 1,286,859 ლარის ქონება, მათ შორის:

დასახელება	თანხა	შენიშვნა
ბაკურიანის ბანაკი	72,360	2007 წელს იყო დემონტირებული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავჯდომარის 2007 წლის 23 მაისის N34 ბრძანების საფუძველზე;
სქურის 3 კოტეჯი	37,439	2011 წელს იქნა დემონტირებული და გადატანილი ანაკლიაში ერთი დიდი კოტეჯის მშენებლობისათვის, ოპერაციის ბუღალტრული ასახვა განხორციელდა 2015 წელს
წეროვანის სპორტული მოედანი	66,310	2010 წლიდან მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია;
მესტიის სპორტული მოედანი	56,643	2010 წლიდან მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია;
21 ხელოვნურსაფარიანი მოედანი (რომლებიც მდებარეობენ: რუსთავში სამი, ქუთაისში ორი, ხობში, ასპინძაში, ლაგოდეხში, საგარეჯოში, ვანში, სამტრედიიაში, ჩხოროწყუში, მარნეულში, ჩოხატაურში, ამბროლაურში, ცაგერში, წალკაში, კასპში, შოში, გორში, ზუგდიდში)	893,947	2014 წელს ან წინა წლებში დარეგისტრირებული აქვთ საკუთრებაში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ან სხვა ორგანიზაციებს;
7 ფეხბურთის მოედანი (რომლებიც მდებარეობენ: რუსთავში, მცხეთაში, დუშეთში ორი, ახალციხეში, ჩოხატაურში, ზუგდიდში)	160,160	2014 წელს ან წინა წლებში დარეგისტრირებული აქვთ საკუთრებაში ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს ან სხვა ორგანიზაციებს.
ჯამი	1,286,859	

ასევე, არ იქნა აღმოფხვრილი წინა აუდიტის დროს გამოვლენილი შეუსაბამობა, კერძოდ: ბუღალტრულ აღრიცხვაში და ბალანსში 2014 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს არასწორად არის ასახული ბალანსში არარსებული ანაკლიის ორი კოტეჯი: წლის დასაწყისში - 17,941 ლარი და წლის ბოლოს - 16,820 საერთო ღირებულებით. სხვაობა წარმოადგენს არარსებულ აქტივზე დარიცხულ ცვეთას.

სამინისტროში არ ტარდება სრულყოფილი ინვენტარიზაციები ქონების არსებობის და მათი მდგომარეობის დასადგენად. კერძოდ, სამინისტროს 2014 წლის 24 ოქტომბრის N01/1004 ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციისას არ ჩატარებულა უძრავი ქონების ინვენტარიზაცია იმ მოტივით, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის თანახმად - „უძრავი ქონების ინვენტარიზაცია ტარდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც“, ხოლო სამინისტროს უძრავი ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებული აქვს 2013 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის უძრავი ქონების ინვენტარიზაცია ჩატარებულია ხარვეზებით (რაც დაფიქსირებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის აუდიტის

ანგარიშში), რაზეც ასევე მიუთითებს ზემოთ აღნიშნული მატერიალური ფასეულობები, რომელთა უმრავლესობა ფაქტიურად გასულია 2013 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციამდე პერიოდში, რაც 2013 წლის ინვენტარიზაციის დროს გამოვლენილი ვერ იქნა, ხოლო 2014 წლის 31 დეკემბრისთვის ბუღალტრულად და ფინანსურ ანგარიშგებაშიც ისინი ისევ ირიცხება სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ბალანსგარეშე ანგარიშებზე.

სამინისტროს მიერ არ სრულდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლი - ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები².

ზემოაღნიშნულით, სამინისტროს მიერ დარღვეულია აგრეთვე „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-9 მუხლი „ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვაში ასახვის დრო“³.

დებიტორული და კრედიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება

2014 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორული დავალიანებები სულ შეადგენდა 8,549,071 ლარს, აქედან 2015 და 2016 წლებში დაიფარა 5,965,774 ლარის დებიტორული დავალიანება, 511,839 ლარის დებიტორულ დავალიანებაზე მასალები გადაცემულია სამართალდამცავ ორგანოებში, ხოლო 2,071,457 ლარის დებიტორული დავალიანების მიმართ არ არის გატარებული საკმარისი ღონისძიებები. აღნიშნული დებიტორული დავალიანებები წარმოშობის პერიოდის და ორგანიზაციების მიხედვით ასახულია ცხრილში:

ანგარიში +	ორგანიზაციის დასახელება	დებიტ. დავალიანება	წარმოშობის თარიღი	წარმოშობის საფუძველი	გატარებული ღონისძიებები
1462 183	ირაკლი მეგრელიშვილი	421	2014	მივლინება	არ არის აღიარებული დებიტორის მიერ
1462 2	ძველი დავალიანება	4,969	1999-2000	მივლინება	გასულია ხანდაზმულობის ვადა
1462 892	ალექსანდრე სილაგაძე	421	2014	მივლინება	არ არის აღიარებული დებიტორის მიერ
1481 1 139	აიპ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია	144,658	2014	სუბსიდიები	წერილი 07/4501 09/12/2014; 07/238 27/01/2014; 07/3051 08/10/2015
1481 1 166	აიპ საქართველოს მკლავჭიდის ფედერაცია	91,453	2014	სუბსიდიები	07/4516 09/12/2014; 07/3054 08/10 2015 დაიხურა ნაწილობრივ
1482 1 1 1 2 100	აიპ საქ. ფეხბურთის ფედერაცია	151,498	2014	სხვა ხარჯები	წერილი 07/380 18/02/2015

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისი N605 ბრძანებით დამტკიცებული, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მუხლი 4. ინვენტარიზაციის ჩატარების სარეკომენდაციო ვადები

1. ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია შემდეგ ვადებში:

ა) ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
 გ) ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
 ვ) ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
 ზ) საწვავის – ყოველთვიურად;
 კ) ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №1321,

მუხლი 9. ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვაში ასახვის დრო,

1. ეკონომიკური მოვლენები აღრიცხვაში აისახება მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების მიღებისას.

1484	ააიპ საქ. ფეხბურთის ფედერაცია	83,037	2002	სუბსიდიები	გასულია ხანდაზმულობის ვადა
1486 732	ააიპ საფეხბურთო კლუბი საჩხერის ჩიხურა	1,505,000	2014	სუბსიდიები	07/4537 10/12/2014.წ 07/3044 08/10/2015
1486 759	ააიპ საჩხერის სარაგბო კლუბი ჯრუჭი	90,000	2014	სუბსიდიები	
	ჯამი	2,071,457			

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზე“ რიცხულ დავალიანებებზე, კერძოდ:

- 83,037 ლარის დავალიანება ირიცხება 2002 წლიდან საქართველოს კონტროლის პალატის აქტის საფუძველზე, რომლის ამოღებისთვის სამინისტროს საკმარისი ღონისძიებები არ გაუტარებიათ და გადატანილია ძველ ხანდაზმული დავალიანებებში;
- 151,498 ლარის დავალიანება ირიცხება 2014 წლიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2011-2012 წლების შესაბამისობის და 2013 წლის შესაბამისობის და ფინანსური აუდიტის ანგარიშის საფუძველზე, რომლის ამოღებისთვის სამინისტროს საკმარისი ღონისძიებები არ გაუტარებია .

არ სრულდება სამინისტროს 2011 წლის 19 დეკემბრის ბრძანებით დადგენილი „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა⁴.

ამასთან, სამინისტროს მიერ არ სრულდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-4 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად რეკომენდებულია - ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია ჩატარდეს წელიწადში ორჯერ მაინც.

კრედიტორული დავალიანება

ხარვეზები გამოვლინდა კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხითაც. კერძოდ, რიგ შემთხვევებში სამინისტროს ბალანსში აღრიცხული კრედიტორული დავალიანებების დიდი ნაწილი წარმოადგენს ხანდაზმულ დავალიანებებს, რომელთა იდენტიფიცირება ან ვერ ხერხდება, ან დაბრუნებას არ ექვემდებარება. რამდენადაც არ ტარდება მოთხოვნების/ვალდებულებების ინვენტარიზაცია, შესაბამისად, ვერ ხერხდება აღნიშნული ტიპის დავალიანებების ჩამოწერა. მაგალითად: სამინისტროს კრედიტორულმა დავალიანებებმა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამურად 1,638,530 ლარი შეადგინა, აქედან 8,537 ლარი დაიფარა 2015 წელს, ხოლო 1,628,494 ლარის კრედიტორული დავალიანება ხანდაზმული და არარეალურია. დავალიანებები წარმოშობილია 1996-2004 წლებში ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებით, ამ პერიოდში დარიცხული და აუნაზღაურებელი ფედერაციების დაფინანსების ხარჯებით, გაუცემელი შრომის ანაზღაურებით, სოციალური დახმარებებითა და სტიპენდიებით, ასევე 1996-2002 წლებში საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისთვის სამინისტროსათვის სანქციის სახით დარიცხული საბიუჯეტო ვალდებულებები.

⁴ გათვალისწინებული დოკუმენტაციის ფედერაციის მიერ არ წარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძველიანად უარის თქმის და ფედერაციის მიერ მიღებული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიებების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს

შესყიდვები

მაღალია გამარტივებული შესყიდვების ხვედრითი წილი სახელმწიფო შესყიდვების მთლიან მოცულობაში. კერძოდ, 2014 წელს სამინისტროს მიერ წლის განმავლობაში გაფორმებული 349 შესყიდვის ხელშეკრულებიდან, ჯამური ღირებულებით 2,049.11 ათასი ლარი გამარტივებული

N	შესყიდვის საშუალება	ხელშეკრ. რაოდენობა	ღირებულება
1	კონსოლიდირებული ტენდერი	7	162,928
3	ელ.ტენდერი	6	244,164
2	გამარტივებული ელ.ტენდერი	52	732,873
4	გამარტივებული შესყიდვა ზღვრების ფარგლებში	132	91,167
5	ექსკლუზივი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 ¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი	3	73,389
6	წარმომადგენლობითი ხარჯი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 ¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი	62	182,013
6	ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახადები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 ¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი	10	17,210
7	5 წლამდე ავტომობილების ტექ. მომსახურება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 ¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი	13	57,704
8	მთავრობის განკარგულებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 ¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი	57	475,414
10	გადაუდებელი აუცილებლობა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10 ¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი (მინისტრის ბრძანებით)	7	12,248
11	ხელშეკრულების გარეშე	-	-
	ჯამი	349	2,049,110

შესყიდვის ფორმით არის გაფორმებული 284 ხელშეკრულება, რომელმაც შეადგინა სულ 909,145 ლარი, მთლიანი შესყიდვების 44%. მათ შორის, არამართლზომიერია 2012 წლის მთავრობის განკარგულებით „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების“ მოტივით 2014 წელს ორ შემთხვევაში გამარტივებული შესყიდვის განხორციელება. კერძოდ: ა) „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებების მიერ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის სტანდარტის შესაბამისი ელექტრონული პროგრამის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N496 განკარგულების საფუძველზე სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთან“ გაფორმებულია ხელშეკრულება 15,000 ლარის მომსახურების შესყიდვაზე და ბ) საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის N929 განკარგულების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ - „სმართ ლოჯიკთან“ 2014 წელს გაფორმებულია ხელშეკრულება 40,020 ლარის IT მომსახურების გამარტივებული შესყიდვაზე.

ტრანსპორტი

2014 წელს სამინისტროს საკუთრებაში ირიცხებოდა 18 ავტომანქანა, რისთვისაც მინისტრის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული იყო საწვავის ყოველთვიური ლიმიტები 6,450 ლიტრის ოდენობით⁵. წლიურმა ლიმიტმა შეადგინა 77,400 ლიტრი, ხოლო ფაქტიურმა წლიურმა ხარჯმა -

⁵ სამინისტროს სარეგბლობაში მყოფ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საწვავის ლიმიტი განსაზღვრული იყო „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სარეგბლობაში მყოფი ავტომანქანების განაწილების და მათთვის საწვავის და რეცხვის ლიმიტების (ტალონების) და წესების შესახებ“ 2012 წლის 7 ნოემბრის N01/411

67,758 ლიტრი. მიუხედავად იმისა, რომ საწვავი დახარჯულია დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში, უნდა აღინიშნოს, რომ საწვავის ხარჯვის ლიმიტები არ არის დასაბუთებული. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროს მიერ 2016 წლის 8 სექტემბრის N01/1095 ბრძანებით შექმნილია კომისია „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში არსებული ავტომანქანებისთვის საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დადგენის მიზნით“.

ავტომანქანების ოპტიმიზაციის გეგმა (რომელსაც თან არ ახლდა თხოვნა გამონაკლისების დაშვების თაობაზე) სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელ სახელმწიფო კომისიაში წარდგენილია 2014 წლის 31 მარტს N07/1031 წერილით, რომელზეც სამინისტროს პასუხი არ მიუღია. აღნიშნული გეგმა შემდგომ აღარ განახლებულა. ამასთან, „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვალის N121 დადგენილების მოთხოვნათა შეუსაბამოდ⁶ დეპარტამენტის უფროსის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირებისათვის 3 შემთხვევაში უფრო მაღალი კლასის მანქანებია განპიროვნებული ვიდრე გათვალისწინებული იყო. ამასთან დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვალის N121 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნით გათვალისწინებული სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების დოკუმენტი.

შრომის ანაზღაურება

2014 წელს სამინისტროში შტატით - გეგმით განსაზღვრული რიცხოვნობა შეადგენდა 91, ხოლო ფაქტობრივად საშუალოდ მუშაობდა 81 მოსამსახურე, ე.ი. 10 ერთეულის ვაკანსია მუდმივად არსებობდა. ასეთ პირობებში, ბიუჯეტის დაგეგვისას 10 ერთეულით ზედმეტი შტატის და მისი შესაბამისი ზედმეტი შრომის ანაზღაურების გათვალისწინება ბიუჯეტში და ასიგნებების გამოყენება პრემიებად არამართლზომიერია.

ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 2014 წლის 13 იანვრის N01/35, 11 მარტის N01/194, 19 მარტის N01/214 ბრძანებების, „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში მყოფი ავტომანქანების განაწილების და მათთვის საწვავის და რეცხვის ლიმიტების (ტალონების) და წესების შესახებ“ 2014 წლის 1 აპრილის N01/242 ბრძანების, „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში მყოფი ავტომანქანების განაწილების და მათთვის საწვავის და რეცხვის ლიმიტების (ტალონების) და წესების შესახებ“ 2014 წლის 1 აპრილის N01/242 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2014 წლის 8 მაისის N01/364, 2014 წლის 12 ივნისის N01/484 და 2014 წლის 8 მაისის N01/364 ბრძანებების შესაბამისად.

⁶ სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანები შეძენილია 2014 წლამდე.

საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დარღვევა

სპორტული ფედერაციების მიერ მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენა

რიგი სპორტული ფედერაციების მიერ⁷ ზოგიერთ შემთხვევებში არ სრულდება “საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“-ს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნტი, რომლის თანახმად „ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები“⁸. ასევე, გათვალისწინებული არ არის ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად „სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დაქირავებულის ბრძანებით დაქირავებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მგზავრობის ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე“⁹. კერძოდ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებების შემდგომ არ არის წარმოდგენილი მგზავრობის დამადასტურებელი „ჩასხდომის ბარათები“, რომელიც ინვოისით მგზავრობისთვის გადახდილი თანხის დოკუმენტთან (რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ჩასხდომის ბარათში აღნიშნულ მარშრუტებს) ერთად წარმოადგენს მგზავრობის ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დარღვევა

რიგი სპორტული ფედერაციების მიერ¹⁰ რიგ შემთხვევებში არ სრულდება “საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“-ს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც

⁷ ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია“; ააიპ „საქართველოს რაგბის კავშირი“; ააიპ „კანოეს ეროვნულ ფედერაცია“; ააიპ „ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაცია“; ააიპ „ჭადრაკის ეროვნულ ფედერაცია“; ააიპ „წყალსათხილამურო სპორტის ეროვნულ ფედერაცია“;

⁸ სამინისტროს 19.12.2011წ. N180 ბრძანების „ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები“

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით დამტკიცებული „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, „სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად დაქირავებულის ბრძანებით დაქირავებულის ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მგზავრობის ხარჯების ნორმები განისაზღვრება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენის საფუძველზე“

¹⁰ ააიპ - კრივის ეროვნული ფედერაცია; ააიპ - საქართველოს ჰოკეის ფედერაცია; ააიპ - თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - სროლის სახეობათა ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - ტაეკვანდოს ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - საქართველოს ტაიკრივისა და კიკბოქსინგის ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - საქართველოს ველოსპორტის ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - წყალსათხილამურო სპორტის ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნულ ფედერაცია; ააიპ - სროლის სახეობათა ეროვნულ ფედერაცია;

“ფედერაციებმა ამ წესის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი თანხით (მათ შორის ფიზიკური პირებისთვის) ანგარიშსწორება უნდა განახორციელონ მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით, რაც გულისხმობს მიღებული თანხებით ანგარიშსწორებას ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე”. ასევე საგულისხმოა, რომ ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებულ ყველა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევიდან, არც ერთში არ არის დაცული “საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“-ს მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ობიექტური მიზეზების გამო უნაღდო ანგარიშსწორების გზით ანაზღაურების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაღდი ანგარიშსწორება შესაძლებელი იქნება განხორციელდეს გამონაკლისის წესით, რის შესახებაც შესაბამისი დასაბუთება ფედერაციის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს წინასწარ დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე წერილში ან ანგარიშის წარდგენის დროს“.

გაწეული ხარჯის გამოყოფილი ასიგნებების პროგრამული კოდთან შეუსაბამობა

სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის (კოდი 39 02 07) ასიგნებიდან სამინისტროს მიერ 2014 წლის 18 დეკემბერს - N329 ხელშეკრულების საფუძველზე 3,400.0 ლარად შეძენილია ინვენტარიზაციის პროგრამული პაკეტი შპს „კოალა“-სგან. „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და სპორტული ინვენტარის განახლების“ პროგრამის ძირითადი მიზანია საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია. მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა. რეგიონებში სპორტული ცხოვრების განვითარება, სპორტული ინვენტარის, ეკიპირებისა და მოწყობილობების შეძენა. რადგან სამინისტროს მიერ აღნიშნული არამატერიალური აქტივის შეძენა ზემოთხსენებული პროგრამის მიზნებს არ შეესაბამება, აღნიშნული შემთხვევა ეწინააღმდეგება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების მე-2 დანართით გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიას, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ბიუჯეტის განსაზღვრული პროგრამისთვის, გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვა უნდა წარმოებდეს შესაბამისი პროგრამული კოდიდან.

წამყვანი აუდიტორი

უფროსი აუდიტორი

აუდიტორ-ასისტენტი

აუდიტორ-ასისტენტი

გურამ ყავლაშვილი

თეიმურაზ გოდუაძე

რუსუდან აბულაშვილი

გიორგი მურვანიძე